ნიკა ხოფერია
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი,
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

სასანური საბრძოლო სპილოები ლაზიკის ომში (551-556 წწ.)

აბსტრაქტი

ლაზიკის ომი (541-562 წწ.), ერთ-ერთი საკვანძო კონფლიქტია სასანიანთა ირანისა და ბიზანტიის ხანგრძლივ ომებს შორის. ორივე მხარე, გვიანანტიკური სამხედრო ხელოვნების ყოველგვარ ტაქტიკასა და სტრატეგიას მიმართავდნენ მიზნის მისაღწევად. სასანიანებმა IV საუკუნიდან ააღორძინეს და VI საუკუნის ფართო მასშტაბის კონფლიქტებში, აქტიურად ჩართეს ელიტური საბრძოლო სპილოების კორპუსი. ირანელმა მეთაურებმა, მერმეროემ და ნახორაგანმა, ლაზიკის ომში, ორი კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყენეს სპილოები, არქეოპოლისისა და ფასისის ბრძოლების დროს. სტატია მიმოიხილავს სასანური საბრძოლო სპილოების კორპუსის ისტორიას, მათ მონაწილეობას სხვადასხვა ომში, სპილოთა გამოყენების ტაქტიკას და საწინააღმდეგო საშუალებებს.

საკვანძო სიტყვები: *ბიზანტია, სასანიანები, ლაზიკა, სპილოები*

ლაზიკის ომი, VI საუკუნეში, ბიზანტია-ირანის მრავალწლიანი დაპირისპირება იყო კავკასიაში, შავი ზღვისპირეთის რეგიონის კონტროლისთვის. ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს აგრესიული საგარეო პოლიტიკა ხმელთაშუა ზღვისპირეთში, საჭიროებდა აღმოსავლეთში თავდაცვითი ომს ირანის შაჰ ხოსრო ანუშირვანის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც ბიზანტიელებმა დაკარგეს პეტრას ციხესიმაგრე, ირანელებს წლების მანძილზე აქ ჰქონდათ ძლიერი პლაცდარმი, რომელიც მათ ლოგისტიკურ კვანძს აგვირგვინებდა იბერიიდან ლაზიკაში. თუმცა, მას შემდეგ, რაც ბიზანტიელებმა და ლაზებმა პეტრა აიღეს და დაანგრიეს, ირანელებმა ყურადღება გადაიტანეს ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებაზე და ირანელმა სარდალმა მერმეროემ, იერიში მიიტანა ლაზიკის საკვანძო ციხე-ქალაქზე, არქეოპოლისზე. ბიზანტიელი ავტორის, პროკოპი კესარიელის მიხედვით, არქეოპოლისთან, სასანურ ჯარს, თან ახლდნენ საბრძოლო სპილოები.[1] ომის მეორე ეტაპზე, რომელიც, პეტრას ალყის შემდეგ დაიწყო, VI საუკუნის კიდევ ერთი ბიზანტიელი ავტორი, აგათია სქოლასტიკოსი, გვამცნობს რომ ირანელებს

[1] Procopius, De Bellis VIII, 13-14, 17. Prokopios; Wars of Justinian, Translated by H.B Dewing, Revised and Modernized, with an Introduction and Notes, by Anthony Kaldellis (Indianapolis: Hackett Publishing Co, Inc. 2014). 490, 493-94, 501. ”პროკოპი კესარიელი“, გეორგიკა II, ბერძნ. ტექსტი ქართ. თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა (თბილისი: მეცნიერება, 1965). 182-183.

კვლავ ჰყავდათ სპილოები, ამჯერად ნახორაგანის[2] მეთაურობით ლაზიკაში შემოყვანილ ჯარში.[3] ეს საქართველოს ტერიტორიაზე საბრძოლო სპილოების გამოყენების შესახებ არსებული, პირველი და თანაც, შედარებით ვრცელი, დოკუმენტური წყაროა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია და უფრო ვრცელ განხილვას საჭიროებს.

ისტორიკოსი კონსტანტინ ნოსოვი აღნიშნავს რომ სპილო ერთადერთი ცხოველია, რომელსაც ადამიანი მასიურად, სისტემატურად იყენებდა საბრძოლო დანიშნულებით. ცხენი არასდროს ყოფილა მებრძოლი, მისი ფუნქცია მეომრის ბრძოლაში ტარება იყო. მართალია, ზოგიერთ ომში საბრძოლო ძაღლებიც გამოუყენებიათ, მაგრამ ამას შედეგებზე გავლენა არ ჰქონია. ამას გარდა, ცხენები და ძაღლები შინაური ცხოველებია, სპილოები კი ველური: თითოეული განგებ დაჭერილი და გაწვრთნილი.[4] მართალია ეს ცხოველები ხმელთაშუა ზღვისპირეთში თუ აზიაში მიმდინარე ომებში ხშირად მონაწილეობდნენ; აზიაში ჩვეულებრივი, სასაპალნე დანიშნულების სპილოების რიცხოვნობა გაცილებით მეტი იყო საბრძოლოებთან შედარებით.[5]

სპილო ჩვეულებრივ მშვიდი და არააგრესიული ცხოველია, მაგრამ გამონაკლისები ყოველთვის არსებობდა. ისტორიის მანძილზე, ძლიერი მხეცები, რომლებიც ავლენდნენ მიდრეკილებას ძალადობისკენ, ირჩეოდნენ საბრძოლო დანიშნულებისთვის და განსაკუთრებული წვრთნით, მათგან გამანადგურებელ იარაღს ქმნიდნენ. თითქმის ყველა საბრძოლო სპილო მამალი იყო, რადგან როგორც აგრესიით, ისე ზომით, ისინი დედალ სპილოებს მნიშვნელოვნად აღემატებოდნენ; ასევე, ჰქონდათ ეშვები, რომელსაც იარაღად გამოიყენებდნენ. თუმცა გამონაკლისები აქაც არსებობდა.[6]

ორი სახეობის სპილო არსებობს - აფრიკული (Loxodonta) და აზიური (Elephas maximus), რომელსაც ინდურსაც უწოდებენ. მათგან, სასანიანები აზიურ სპილოებს იყენებდნენ. აზიური სპილო 2-3,5 მ სიმაღლისაა და 2-5 ტონას იწონის.[7] მიიჩნევა რომ ინდური სპილოები აღემატებოდნენ ჩრდილოეთ აფრიკულ ტყის მცირე სპილოებს ზომით, ძალით და ბრძოლის დროს ჯაბნიდნენ, ისე, როგორც ეს

---

[2] „ნახორაგანი“ – „ნახვარაგანი“ წარმოადგენს წოდებას და არა სახელს. შესაბამისად, ჩვენთვის უცნობია ამ სპარსელი სარდლის ნამდვილი სახელი და უბრალოდ წოდება „ნახორაგანით“ მოვიხსენიებთ. Geoffrey Greatrex, Samuel N. C. Lieu, The Roman Eastern Frontier and the Persian Wars AD 363-628. Pt. 2 (New York: Routledge, 2002). 121.

[3] Agathias, Historia III, 20, 26-27. Agathias, The Histories, Translated with an Introduction and Short Explanatory Notes by Joseph D. Frendo (Berlin; Boston: De Gruyter, 1975). 90, 97-98. „აგათია სქოლასტიკოსი“, გეორგიკა III, ბერძნ. ტექსტი ქართ. თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა (თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936). 98, 118-120. ნახორაგანის სპილოებზე მანამდე პროკოპიც წერს, თუმცა, მასთან არ ჩანს ირანელთა მთელი სამხედრო კამპანია და ის თუ როგორ გამოიყენეს სპილოები. ამ ამბავს, უკვე აგათია აგრძელებს. Procopius, De Bellis VIII, 17.

[4] Konstantin Nossov, War Elephants (Oxford: Osprey Publishing, 2012), 4.

[5] იქვე, 38.

[6] იქვე, 4.

[7] იქვე, 5.

სელევკიდებისა და პტოლემაიოსების ეგვიპტის ჯარებს შორის, რაფიას ბრძოლაში მოხდა, ძვ.წ. 217 წელს.[8]

სპილოებს ხშირად ადარებენ თანამედროვე ტანკებს, მაგრამ, ვფიქრობ, რიჩარდ გლოვერი, სამართლიანად მიუთითებს, რომ საბრძოლო სპილოს ტანკთან შედარება მაცდური, თუმცა არც ისე სწორია. ტანკი, თავისი ჯავშნით, შეუვალია ჩვეულებრივი იარაღით აღჭურვილი ქვეითებისთვის და შეუძლია საველე ფორტიფიკაციების გარღვევა. სპილოს არც ერთი ეს თვისება არ აქვს, მაგრამ აქვს ძალიან მგრძნობიარე ნერვული სისტემა, რის გამოც ადვილად ღიზიანდება და ის უფრო მეტად კავალერიას უნდა შეედაროს.[9]

ირანელი მკვლევარი ქავე ფაროხი აღნიშნავს, რომ სასანურ სპილოთა კორპუსს (პილ სავარან) იგივე როლი ჰქონდათ სასანურ სპაში, როგორიც აქემენურ ხანაში საბრძოლო ეტლებს. პრაქტიკულად, სასანურ სპილოთა კორპუსი მხოლოდ ერთ, მტრის რიგების გარღვევის ფუნქციას არ ატარებდა. ამ ცხოველებს სპაში განსაკუთრებით აფასებდნენ. ზოგჯერ ჯარის ზურგში აყენებდნენ დამხმარე ძალად, რათა აემაღლებინათ ჯარის, განსაკუთრებით, ქვეითი ნაწილების საბრძოლო სულისკვეთება. მათი გამოყენება შეიძლებოდა მტერზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის, როდესაც ისინი თავიანთთვის აქამდე უცნობ მხეცებს შეხვდებოდნენ. ამ თვალსაზრისით, სპას შეიძლებოდა გამოეყენებინა სპილოები გამოუცდელი რომაელი და არაბი მეომრების წინააღმდეგ, რათა გავლენა მოეხდინათ ბრძოლის მიმდინარეობაზე.[10] მაიკლ დეკერი მიუთითებს რომ მართალია სპილოებს მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენა შეეძლოთ, რეალურად, სულაც არ წარმოადგენდნენ ირანული სამხედრო საქმის განუყოფელ ნაწილს, რომელშიც მთავარ როლს მძიმე კავალერია, ცხენოსანი მოისრები ასრულებდნენ.[11] სპილოს დიდი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა სამხედრო საქმის მიღმაც. სტივენ რაპის მიხედვით, სასანურ ირანში, სპილოებს განსაკუთრებით აფასებდნენ და ძალაუფლებისა და გამარჯვების სიმბოლოდ

---

[8] ზოგიერთი ისტორიკოსი მიიჩნევდა, რომ პოლიბიოსი ცდებოდა, როდესაც ინდურ სპილოებს უფრო დიდებად მიიჩნევდა აფრიკულზე, მაგრამ უილიამ გოვერსმა ახნსა რომ პტოლემაიოსებს აფრიკული ტყის მცირე სპილოები უნდა ჰყოლოდათ (რადგან სწორედ ასეთ სპილოებს იშინაურებდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში) და არა ბუჩქის დიდი სპილოები (რომელთაც სავანას სპილოებსაც უწოდებენ), ამიტომაც, პოლიბიოსი, კტესიასი და სხვა ანტიკური ავტორები, რომლებიც ამის შესახებ წერენ, არ უნდა ცდებოდნენ. William Gowers, “African Elephants and Ancient Authors”, African Affairs, Jul., 1948, Vol. 47, No. 188 (Jul., 1948): 174-180; Nossov, War Elephants, 4-5.

[9] Richard Glover, “The Elephant in Ancient War”, The Classical Journal, Vol. 39, No. 5 (Feb., 1944): 258. კავალერიას ბრძოლაში ორგვარი ღირებულება აქვს, ცხენის შეჯახებით გამოწვეული შოკი, რომელიც კაცს აქცევდა და იარაღი, რომლითაც მხედარი ებრძოდა ან ძირს დაცემულს კლავდა. სპილოებსაც მსგავსი დანიშნულება ჰქონდათ, მაგრამ სხვაგვარი აქცენტით. მათი შეჯახება გაცილებით ძლიერი იყო, არა მხოლოდ იმიტომ რომ სპილო ცხენს ზომით აღემატება, არამედ მას თავისი იარაღიც ჰქონდა, რომლითაც იბრძოდა. შეეძლო დაერტყა, გაეთელა ან ეშვებზე აეგო ადამიანები. ასევე, ზურგით შეეძლო ეტარებინა მხედრებიც. Glover, “The Elephant in Ancient War”, 258.

[10] Kaveh Farrokh, The Armies of Ancient Persia: The Sassanians (Barnsley, South Yorkshire: Pen & Sword Military, 2017), 129.

[11] Michael J. Decker, “Methods of Warfare” in The Byzantine Art of War (Westholme, Yardley, 2016). Kindle edition.

მიაჩნდათ. ძველ ირანულ ლიტერატურულ ნაწარმოებში „არდაშირის საქმეთა წიგნში“, სასანიანთა დინასტიის დამფუძნებელი, სასანის მემკვიდრე არდაშირი, სიზმარში ნახავს თეთრ სპილოზე ამხედრებულ სასანს, რაც გაძლიერებისა და გამდიდრების ნიშანს წარმოადგენდა.[12] ამავე კონტექსტში, სპილო მოხსენიებულია ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისაშიც“.[13] ის მეფე ვახტანგ გორგასალი თეთრ სპილოზე ამხედრებულს წარმოგვიდგენს: „მეფე თეთრ სპილოზე შეჯდა და შემოეწყვნენ ზღვის ნაპირს, რომელიც ჭალაა, ხერთვისის რიყე“.[14] რომაელი ისტორიკოსი, ელიუს სპარტიანე (IV ს.) სპილოს ასახელებს სამეფო ძღვენში, რომელიც რომის იმპერატორმა ადრიანემ გაუგზავნა ქართლის მეფეს ფარსმან II-ს (II ს.).[15]

IV საუკუნიდან, სასანიანებმა კვლავ დააბრუნეს სპილოები, რომლებიც ელინისტური ხანის შემდეგ არ გამოჩენილან ბრძოლის ველზე (შეიძლება გამოიყენებოდა ქუშანების წინააღმდეგ ომებში ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე). პართიელებსაც ჰყავდათ სპილოები, მაგრამ მათი სამხედრო მიზნით გამოყენების შესახებ წყაროები არ გვაქვს. რომაელი სარდლის ცეზენიუს პეტუსის არმიის წინ, რომელიც რანდეასთან ბრძოლაში (62 წ.) დანებდა პართიელებს, პართიის მეფე ვოლოგეზ I (58-78 წწ.) სპილოზე ამხედრებული მიუძღოდა აღლუმს; თუმცა, ეს დეტალი, შეიძლება რომაულ რეტორიკულ „ორიენტალიზმს“ განეკუთვნებოდეს.[16]

სასანიანები შაპურ II (309-379 წწ.) დროიდან იყენებდნენ საბრძოლო სპილოებს რომაელების წინააღმდეგ ომებში. მაგალითად, შაპურს ისინი თან ჰყავდა ნიზიბისის გარშემო ბრძოლებისა და საალყო მოქმედებების დროს 336, 346 და 350 წელსაც. სპილოები ირანულ ჯარში 363 წელს, იმპერატორ იულიანეს ირანული კამპანიის დროსაც ჩანან და ავარაირისა და ვართანანაცის ბრძოლებში 451 წელს, სომხების წინააღმდეგ. შაჰმა პეროზმა (459-484 წწ.) საბრძოლო სპილოები ჰეფტალიტებთან ომში გამოიყენა[17], ხოსრო I ანუშირვანმა კი ბიზანტიელების წინააღმდეგ როგორც ედესის ალყისას (544 წ.), ისე ლაზიკის ომში (551 და 555 წლებში). ყველაზე მეტი ცნობა კი ირანულ საბრძოლო სპილოებზე 637-651 წლებში ირანში ისლამური ექსპანსიის პერიოდზე გვაქვს.[18]

გვიანრომაელი ავტორი, ამიანე მარცელინუსის მიხედვით, სპილოების საშიში შესახედაობა, ჯერაც დაუძლეველ შიშს ნერგავდა რომაელებში; მათი ღრიალი,

---

[12] Touraj Daryaee, Sasanian Persia: The Rise and Fall of an Empire (London: I.B. Tauris, 2023), 121.

[13] Stephen H. Rapp, The Sasanian World through Georgian Eyes: Caucasia and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature (Routledge, London, 2017), 289.

[14] ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება (თბილისი: ახალი ივირონი, 2011), 135.

[15] Aelius Spartianus, Hadrianus (Scriptores Historiae Augustae), XVII. Historia Augusta. Volume I. With an English Translation By David Magie. Harvard University Press, Cambridge, Massachusetts, 2022. 55.

[16] Paul Erdkamp, A Companion to the Roman Army (Hoboken: John Wiley & Sons, 2011), 261.

[17] VI საუკუნის ავტორის მიხედვით, ცენტრალურ აზიაში, ინდოეთის ჩრდილოეთით მოსახლე ნახევრადმომთაბარე ხალხს, თეთრ ჰუნებს ანუ ჰეფტალიტებს სულ მცირე 2000 საბრძოლო სპილო ჰყავდათ არმიაში. ჰეფტალიტებს სპილოები ინდოეთიდან უნდა წამოეყვანათ, რომელსაც ჯერ კიდევ V საუკუნიდან ლაშქრავდნენ. Nossov, War Elephants, 38. ეს რიცხვი, გაზვიადებულია, მაგრამ ჰეფტალიტთა ჯარში სპილოების ყოფნა, დასაშვებია.

[18] Farrokh, The Armies of Ancient Persia: The Sassanians, 129-134.

სუნი და უცხო შესახედაობა კი კიდევ უფრო აფრთხობდა ცხენებს. სპილოები როგორც მოძრავი მთები, თავიანთი უზარმაზარი სხეულების მოძრაობით სიკვდილით ემუქრებოდნენ მიახლოებულებს და შიშს უნერგავდნენ წარსულის გახსენებით."[19] უნდა აღინიშნოს რომ, მართალია, რომაელები, წარსულში, ბევრჯერ შეხვედრიან სპილოებს ბრძოლის ველზე, როგორც კართაგენთან, ისე ელინისტურ სახელმწიფოებთან ომებში[20], გვიანანტიკურ ხანაში, რომაულ ჯარს, ამ ცხოველებთან ბრძოლის გამოცდილება აღარ უნდა ჰქონოდა. მიუხედავად ცალკეული ისტორიული ცნობებისა, იმპერიაში საბრძოლო სპილოების გამოყენებისა ტრადიცია არ ჩამოყალიბებულა.[21] ამიანეს აღწერა ნათლად გვიჩვენებს რომ IV საუკუნეში, საბრძოლო სპილოები რომაელებისთვის უცხო და ეგზოტიკური იყო და სასანიანებთან ომში მათთან შეხვედრამ მათზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა.

პროკოპი კესარიელის მიხედვით, სპილოებთან ბრძოლა, არქეოპოლისთან გამართული შეტაკების მთავარი ეპიზოდი იყო. ბიზანტიელებმა ამ ცხოველების უკუგდება მოახერხეს. ერთი სპილო „დაჭრილი, როგორც ზოგიერთები ამბობენ, თუ თავისთავად აღბორგებული - უთავბოლოდ შემოტრიალდა, ყალყზე შედგა, მხედრები გადმოყარა, სხვები კი დაფანტა, ამის გამო ბარბაროსებმა დაიწყეს უკან დახევა".[22] „ზოგს შეიძლება გაუკვირდეს, რომ რომაელებმა, რომელთაც კარგად იციან როგორ უკუაგდონ სპილოები, ამისთვის არაფერი გაუკეთებიათ და თვითონვე დაბნეულები იყვნენ შექმნილი მდგომარეობით."[23]

აგათიას მიხედვით, ნახორაგანმა, ფასისის ალყისას, მდინარის ბლოკირებისთვის, ხერგილთან ერთად, გამოიყენა სპილოები, რომლებიც წყალში ჩააყენა და შეუძლებელი გახადა ნავებით თავისუფლად მოძრაობა. როცა ციხესთან დიდი ბრძოლა გაიმართა, აგათია მიუთითებს რომ სპილოებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ირანელთა მარჯვენა ფლანგის წარმატებაში, იმ დროს, როცა მათი მარცხენა ფლანგი მძიმე მარცხს განიცდიდა. გარდა იმისა რომ ერთგვარ თავდაცვით კედელს წარმოადგენდნენ, სპილოები აგრძელებდნენ იერიშს ბიზანტიელთა ქვეით ჯარზე, ფანტავდნენ მათ და არ აძლევდნენ მწყობრში ჩადგომის საშუალებას. სპილოებზე ამხედრებულ მშვილდოსნებს, არეულობა შეჰქონდათ მტრის რიგებში, ვინაიდან, ამაღლებული პლატფორმიდან, ადვილად უმიზნებდნენ ისრებს. ეს კავალერიასაც უადვილებდა საქმეს რომ თავს

---

[19] ამიანე ხშირად იხსენიებს საბრძოლო სპილოებს სასანურ ჯარში. Ammianus Marcellinus, Res Gestae XIX, 2, 7; XXIV, 6; XXV, 1, 3, 6, 7.

[20] ეპირის მეფე პიროსს (ძვ.წ. III ს.), ისტორიული წყაროების მიხედვით, რომაელებთან ომში, 20 საბრძოლო სპილო ჰყავდა; მაგნეზიასთან ბრძოლაში, სელევკიდებმა, ქვეითი ჯარის რიგებს შორის, სპილოები განალაგეს; ჰანიბალმა იტალიაშიც გამოიყენა საბრძოლო სპილო და აფრიკაშიც, ზამას ბრძოლაში. Erdkamp, A Companion to the Roman Army, 46, 74-75.

[21] რომაელებისგან სპილოების გამოყენების ყველაზე ცნობილი ფაქტია იმპერატორ კლავდიუსის შესვლა რომაელებისგან დამორჩილებულ ბრიტანეთში, კამულოდუნუმში (კოლჩესტერი), სპილოებითა და პრეტორიელებით. იმპერატორი აქ სულ 16 დღით იმყოფებოდა და სპილოებსაც არა საბრძოლო დანიშნულება ჰქონდათ, არამედ მისი მიღწევის, ბრიტანეთში წარმატებული დაპყრობითი ომის „დასაგვირგვინებელი" და იმპერიის ძლევამოსილების სიმბოლოს წარმოადგენდნენ. Erdkamp, A Companion to the Roman Army, 218.

[22] Procopius, De Bellis VIII, 14. Prokopios; *Wars of Justinian*, 494.

[23] Procopius, De Bellis VIII, 14. Prokopios; *Wars of Justinian*, 494-495.

დასხმოდნენ დაფანტულ და დაბნეულ ქვეითებს, რომელთაც, აღჭურვილობაც ხელს უშლიდათ სწრაფად მოქმედებაში. ამ დროს, აგათიას მიხედვით, ბიზანტიელი სარდლის, მარტინეს მცველებიდან ერთ-ერთმა, ოგნარისმა „მასზე საშინელის გაშმაგებით მომავალ ერთ სპილოს“ შუბი აძგერა თვალთან ახლოს. „წვერი სპილოს შიგ შეერჭო, ხოლო დანარჩენი ნაწილი გარეთ ეკიდა ჰაერში გაშვერილი. სპილო ძალიან შეაწუხა ჭრილობამ, გარდა ამისა, თვალწინ რომ ირხეოდა შუბი, ისიც აშფოთებდა“.[24] ცხოველმა უკან დაიხია, მხედრები გადმოყარა და გასრისა, დანარჩენი ჯარი დაფანტა, რასაც ეშვებით მიწვდა, გაანადგურა. ცხენები შეშინდნენ, ყალყზე შედგნენ და მხედრები ჩამოყარეს. ცხენები „ასე უწესრიგოდ შუა ხალხში იჭრებოდნენ საშინელი ქშინვითა და რხევით. როდესაც ჯარისკაცები გონს მოდიოდნენ, ერთმანეთს ეძგერებოდნენ და მუჯლუგუნებს ჰკრავდნენ, ყოველი მათგანი ცდილობდა გაესწრო მეზობლისთვის და ამიტომ მოხდა, რომ ბევრი მათგანი საკუთარი ამხანაგების ხელით დაიღუპა: ისინი მეგობრებისა და თვისტომთა მახვილებს ეჩეხებოდნენ“.[25] როგორც ვხედავთ, ეს ორი ეპიზოდი - არქეოპოლისისა და ფასისის ბრძოლებისა, ერთმანეთის მსგავსია და ორივე შემთხვევაში, ავტორები, ბრძოლაში მარცხის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, სპილოების წარუმატებლობას ასახელებენ.

პროკოპი კესარიელი, არქეოპოლისის ბრძოლაში სპილოებთან დაპირისპირების აღწერისას, ასევე აღნიშნავს მნიშვნელოვან დეტალს: „რომაელებმა, რომელთაც კარგად იციან როგორ უკუაგდონ სპილოები“.[26] ზოგადად, ბიზანტიური და ირანული არმიები ერთმანეთს ძალიან კარგად იცნობდნენ, ადაპტირებულნი იყვნენ[27], ვინაიდან, საუკუნეების მანძილზე, ერთმანეთს ძალიან ბევრჯერ შეხვდნენ ბრძოლის ველზე. მათი ომების გაანალიზების შედეგად, შეიძლება ითქვას რომ ორივე მხარე, ყურადღებას აქცევდა საკუთარ სუსტ და ძლიერ მხარეს და ცდილობდნენ მის აღმოფხვრას.ასევე, საჭიროებისას, სამხედრო სიახლეების გადმოღებას ან მტრისთვის სიურპრიზის შეთავაზებას. მაგალითად, ბიზანტიელებს უპირატესობა ჰქონდათ ქვეით ჯარში. ამის დასაბალანსებლად, სასანიანებმა მთიელი, დაილამელი ქვეითების რიცხოვნობა გაზარდეს ჯარში. ირანელებს უპირატესობა ჰქონდათ მძიმე ცხენოსან ჯარში და ბიზანტიელებიც ამ სისუსტის აღმოფხვრას ცდილობდნენ მსგავსი შეიარაღების ცხენოსანი ჯარის ფორმირებით. მათ, ასევე აქტიურად დაიწყეს მშვილდის გამოყენება, რათა განთქმული ირანელი მშვილდოსნებისგან ნატყორცნი ისრების წვიმისთვის პასუხი გაეცათ. ბიზანტიელები არ იყენებდნენ საბრძოლო სპილოებს, მაგრამ, სწავლობდნენ მათი მოგერიების მეთოდებს, რომლის წყალობითაც, ირანული ჯარის ამ უპირატესობის გაბათილებას ახერხებდნენ.

ისტორიული წყაროები გვიჩვენებს რომ სპილოები ეფექტიანია მაშინ, როცა მოწინააღმდეგეს მათთან ბრძოლის გამოცდილება არ აქვს და ზოგჯერ, მანამდე, არც კი უნახავს ეს მხეცები. თუმცა, გამოცდილ მოწინააღმდეგეს შეეძლო მათი დაფრთხობა სხვადასხვა მეთოდით. პროკოპი კესარიელს მოყავს მაგალითი, თუ

---

[24] Agathias, Historia III, 26-27. Agathias, The Histories, 98.

[25] იქვე.

[26] Procopius, De Bellis VIII, 14. Prokopios, Wars of Justinian, 495.

[27] Michael J. Decker, “Byzantine Adaptation” in Byzantine Art of War (Westholme, Yardley, 2016). Kindle Edition.

როგორ უკუაგდეს ბიზანტიელებმა ირანელთა საბრძოლო სპილო 544 წელს, ედესასთან. ირანელთაგან ქალაქის იერიშის დროს, რომელშიც მათ საბრძოლო სპილოც გამოიყენეს, ბიზანტიელებმა კოშკიდან ცხოველის შესაშინებლად, თოკით გადმოკიდეს ღორი, რომლის ჭყვიტინმა სპილო დააფრთხო და უკუაქცია.[28] ღორების სპილოების შესანიშნებლად გამოყენებაზე წერენ ანტიკური ხანის ავტორები, კლავდიუს ელიანე (II-III სს.) და პოლიენუსიც (II ს.). ორივე ავტორი აღწერს მაკედონიის მეფის, ანტიგონე II გონატას ომს მეგარელებთან (ძვ.წ. 266 წ.), რომელთაც მტრის სპილოების დასაფრთხობად შემდეგ ხერხს მიმართეს: ღორებს აალებადი სითხე დაასხეს, ცეცხლი მოუკიდეს და მტრის სპილოებისკენ გარეკეს. ღორების ჭყვიტინმა სპილოები შეაშინა, უკუაქცია და მათი დამორჩილება, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა. ამის გამო, შემდგომში, სპილოებს ღორებთან ერთად ზრდიდნენ, რათა შეჩვეოდნენ ამ ცხოველებს და აღარ შეშინებოდათ მათი.[29]

სპილოებს აფრთხობდა და მათ გაღიზიანებას იწვევდა ჭრილობები მგრძნობიარე ადგილებში. მაგალითად, ფრონტინუსის მიხედვით, ჰანიბალმა, რომელმაც ვერ აიძულა სპილოებს მდინარე ღრმა ადგილზე, სწრაფ დინებაში გადაელახათ, უბრძანა ჯარისკაცს, ყველაზე მძვინვარე სპილო ყურქვეშ დაეჭრა. გამხეცებული სპილო მდინარეში შევარდა. მას სხვა სპილოები მიყვნენ და მდინარე გადაცურეს.[30]

ანტიკურ ხანაში, სპილოებთან წარმატებული ბრძოლის ერთ-ერთი ცნობილი მაგალითია ზამას ბრძოლა რომაელებსა და კართაგენელებს შორის, ძვ.წ. 202 წელს. ჰანიბალის ათეულობით სპილოს მოსაგერიებლად, სციპიონმა ისე განალაგა ჯარი, რომ როდესაც მხეცები მათკენ წამოვიდოდნენ, დერეფნები გაეკეთებინათ, გაეტარებინათ და შემდეგ ხელშუბებით დაეცხრილათ. ამ მეთოდმა გაამართლა: რომაელებმა უკუაგდეს სპილოები, რომელთაც თვითონ კართაგენელთა რიგები არიეს და დაფანტეს.[31]

სპილოების შუბების ჩხვლეტით დევნა, ყველაზე გავრცელებულ მეთოდად მოჩანს რომის გვიანი იმპერიის პერიოდში, სასანურ ირანთან ომებში. მაგალითად, იმპერატორ იულიანეს სამხედრო კამპანიის დროს (363 წ.), მისმა მსუბუქმა ქვეითებმა, ხელშუბებით მოახერხეს სპილოების უკუგდება.[32] იმავე ომში, იმპერატორ იოვიანეს მეომრებმაც მოახერხეს ორი საბრძოლო სპილოს მოკვლა და დანარჩენების უკუგდება.[33] არაბთა სახალიფოსა და სასანურ ირანს შორის ომის დროს, არაბებს თავდაპირველად ეუცხოვათ და გაუჭირდათ სასანურ სპილოებთან ბრძოლა, მაგრამ, დროთა განმავლობაში ისწავლეს მათთან გამკლავება. ქადისიას

---

[28] Procopius, De Bellis VIII, 14. Prokopios, Wars of Justinian, 495.

[29] Aelian, On The Characteristics of Animals. / 3, Books XII-XVII (Cambridge: Harvard University Press; London: W. Heinemann, 1972), 312-313. Polyænus's Stratagems of War. Translated by Dr. Shepherd F.R.S. (London: Printed for George Nicol, 1796), 155.

[30] Frontinus, The Stratagems; and the Aqueducts of Rome, With an English Translation by Charles E. Bennett (London, New York, 1925), 55-56.

[31] Frontinus, The Stratagems, 115-117. Adrian Goldsworthy, The fall of Carthage: the Punic Wars 265-146 BC. (London: Phoenix, 2009), 304.

[32] Decker, “Chapter IV: Clash of Empires” in The Sasanian Empire at War (Westholme Publishing, LLC, Yardley, Pennsylvania, 2022), Kindle version.

[33] Decker, “Chapter IV: Clash of Empires”.

ბრძოლაში (636 წ.), მათ სპილოების უკუგდება, მხეცებისთვის თვალებთან შუბების ჩხვლეტითა და უნაგირის სალტეების გადაჭრით შეძლეს (რის შედეგადაც, ცხოველზე ამხედრებული მეომრები, ძირს ჩამოცვივდებოდნენ). პირველ მეთოდს, ისტორიკოსი ქავე ფაროხი ბიზანტიურს უწოდებს, მეორე კი, არაბებს სასანიანთა ჯარის დეზერტირებისგან უნდა ესწავლათ. უკუქცეულმა სპილოებმა ირანელთა რიგები არიეს. ირანელები დარწმუნდნენ რომ ცხოველები ბრძოლიდან უნდა გაეყვანათ.[34] არაბთა ერთ-ერთი მეთაურის, ქაქა იბნ ამრის მიერ სპილოს უკუგდება თვალთან შუბის ძგერებით, თითქმის იდენტურია ფასისთან ბრძოლაში, ბიზანტიელი სარდლის, მარტინეს მცველის, ოგნარისის მოქმედებისა, რასაც, აგათია შემთხვევითობას მიაწერს, რეალურად კი, სპილოებთან ბრძოლის გამოცდილი მეთოდი ჩანს. კონორ ვაითლი აღნიშნავს რომ აგათია ცდილობს ჰომეროსისეულად გადმოსცეს ეს ეპიზოდი და ამისთვის იყენებს შესაბამის ლიტერატურულ მეთოდებს.[35]

ისტორიკოს რიჩარდ გლოვერის მიხედვით, ერთი შეცდომა, რასაც სარდლები უშვებდნენ, იყო სპილოებით სიმაგრეებზე იერიშის მიტანა (რაც ამ შემთხვევაში, არქეოპოლისთანაც მოხდა). სპილოს ახტომა არ შეუძლია. ამიტომ, ტანკის მსგავსად, არ ძალუძს გადალახოს განიერი თხრილი. მართალია სპილოს შეეძლო მესრის გარღვევა, მაგრამ ძლიერ სიმაგრეებს ის ვერ დაანგრევდა. ამიტომ, ძველ სამყაროში, სპილოებით მტრის გამაგრებებზე შეტევები, თითქმის ყოველთვის მარცხით სრულდებოდა. განსხვავებით ტანკისგან, სპილო ცოცხალი არსებაა. ის მოძრავ „ქინძისთავების ბალიშს“ ემსგავსებოდა - მტრისგან იცხრილებოდა ხელშუბებით, ისრებით; შედეგად კი, გახელებული უკან ბრუნდებოდა. ერთადერთი სხვაობა შემტევ და უკან დახეულ სპილოს შორის იყო მიმართულება, საითკენაც მიიწევდა; ყველა შემთხვევაში, მის წინ აღმოჩენა სასურველი არ იყო და დიდი ზიანის მოტანა შეეძლო. დაჭრილი, გაცოფებული სპილო, რომელიც უმართავი იყო და უკან იხევდა, თავისიანებისთვის ისეთივე დიდ საფრთხედ იქცეოდა, როგორიც მტრის მიმართ იყო.[36] ამიანე მარცელინუსის მიხედვით, სასანიანები იძულებულები გახდნენ, სპილოს გამძღოლები აღეჭურვათ სპეციალური იარაღით (როგორც ანტიკურ ხანაში კართაგენელები აკეთებდნენ), რომლითაც სპილოს ადვილად მოკლავდნენ თუ ის გაცოფდებოდა და თავისიანებისკენ შემობრუნდებოდა.[37]

ლაზიკის ომში მომხდარი ბრძოლები, არქეოპოლისთან და ფასისთან, რომლებშიც სასანიანებს საბრძოლო სპილოები ჰყავდათ, მათთვის წარუმატებლად დასრულდა. კვლავ თავი იჩინა ამ ცხოველების სამხედრო დანიშნულებით გამოყენების სიძნელეებმა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც პროკოპი, ისე აგათია, ამბის უფრო ხატოვნად მოსათხრობად, მოულოდნელობასა და შემთხვევითობას აბრალებს სპილოების უკან დახევას, პროკოპი თვითონვე ვერ მალავს რომ ბიზანტიელებმა კარგად იცოდნენ რა მეთოდები გამოეყენებინათ ამ ცხოველების წინააღმდეგ. აგათიასთან კი, სპილოს უკუგდებას ახერხებს სარდალ

[34] Farrokh, The Armies of Ancient Persia: The Sassanians, 135-136.

[35] Conor Whately, Battles and Generals: Combat, Culture, and didacticism in Procopius' Wars (Brill: Leiden, 2016), 162-163.

[36] Glover, “The Elephant in Ancient War”, 262-263.

[37] Ammianus Marcellinus, Res Gestae XXV, 1. Ammianus Marcellinus, volume II, With an English Translation by John C. Rolfe (Cambridge, Massachusetts: Harvard University Press, 2000). 483.

მარტინეს გამოცდილი მცველი (ალბათ „ბუკელარიუსი“) ოგნარისი, რომელსაც, პირადი გამოცდილებით, უნდა სცოდნოდა ამ ცხოველებთან გამკლავება. ირანელებთან საომრად, საეჭვოა, ბიზანტიელებს არ გაეგზავნათ მათ წინააღმდეგ ომებში გამოცდილი ადამიანები, რომელთაც იცოდნენ როგორ ემოქმედათ ირანული ჯარის გამორჩეული კომპონენტების, სპილოების, მძიმე კავალერიისა და მშვილდოსნების წინააღმდეგ.

საინტერესოა, თუ საბრძოლო სპილოების გამოყენება ასე საფრთხილო იყო და ხშირად, მტერი ახერხებდა მათ ძლევას, რატომ აგრძელებდნენ ირანელები მათ გამოყენებას. სპილო, ძლევამოსილებისა და სიდიადის ეს სიმბოლო, ხშირად ასოცირდებოდა იმპერიის სიძლიერესთან. მათი ყოფნა არმიაში, მიუთითებდა სამხედრო კამპანიის მნიშვნელობაზე, რადგან, ხშირად, სპილოების თანხლებით, თვითონ ირანის შაჰი ლაშქრობდა. 422 წელს, როცა ნიზიბისის მოალყე რომაელებმა შეიტყვეს შაჰი ბაჰრამ V საბრძოლო სპილოების მთელი კორპუსით მათზე დაიძრა, შეშინებულებმა მოხსნეს ალყა და სწრაფად დაიხიეს უკან.[38]

წარმატებით იყენებდა სპილოებს ირანის შაჰი ხოსრო II ფარვიზი, რომელმაც 603 წელს, შეუტია ბიზანტიის იმპერიას იმ ტერიტორიების დასაბრუნებლად, რომელიც თავის დროზე დათმო, უზურპატორ ბაჰრამ ჩობინის წინააღმდეგ ომში ბიზანტიელებისგან მიღებული დახმარებისთვის. ხოსრომ ბრძოლაში გრძელ მწკრივად, ერთმანეთის მოშორებით განალაგა სპილოები ქვეითთა ათასეულების თანხლებით. როცა სპილოები დაიძრნენ, ქვეითები ყველა მხრიდან იცავდნენ მათ. ცხოველებზე ამხედრებული მშვილდოსნები მოწინააღმდეგეს ზემოდან ისრებს უშიშრად უშენდნენ, საჭიროების შემთხვევაში კი, სპილოს ბრძოლაში ჩართვაც შესაძლებელი იყო. ამავე დროს, ბრძოლის ველზე მათ ყოფნას, ფსიქოლოგიური ეფექტიც ჰქონდა. ხოსროს წინააღმდეგ მოქმედი არმია, გამოუცდელი აღმოჩნდა სპილოებთან ბრძოლაში. ამავე დროს, სპილოებმა დააფრთხეს ბიზანტიური კავალერიაც და ბრძოლა ირანელთა გამარჯვებით დასრულდა. როგორც ჩანს, მსგავსი ტაქტიკით მიაღწიეს წარმატებას სასანიანებმა 451 წელს, ავარაირთან.[39] თავდაპირველად, საკმაოდ წარმატებული იყო მსგავსი ტაქტიკით მებრძოლი ირანული ჯარი, ქადისიას ბრძოლაში 636 წელს, როცა მათ გააქციეს არაბული კავალერია, რის შემდეგაც, ქვეითებს მოუხდათ მდგომარეობის გამოსწორება.[40] ირანელებმა არაბების წინააღმდეგ მწკრივად განლაგებულ სპილოებს, ქვეითები მიუჩინეს დასაცავად, ქვეითებს კი - კავალერია. როცა ირანელებს უნდოდათ რომელიმე რაზმზე შეტევა, სპილოსთან ერთად დაიძრებოდნენ, რათა დაეფრთხოთ მტრის მხედრობა.[41]

არქეოპოლისისა და ფასისის ბრძოლები, თავის მხრივ, უნიკალურია, რადგან, საქართველოს ტერიტორიაზე საბრძოლო სპილოების გამოყენების შემთხვევა, მხოლოდ ლაზიკის ომში ფიქსირდება. პროკოპი და აგათია, ინარჩუნებენ ანტიკური

---

[38] Michael J. Decker, “Chapter V: The Frontiers Erupt” in The Sasanian Empire at War.

[39] Decker, “Chapter VIII: The Last Great War of Antiquity” in The Sasanian Empire at War.

[40] Al-Tabari, The History of Al-Tabari, Volume XII (State University of New York Press, Albany, 1992), 94.

[41] Decker, “Chapter VIII: The Last Great War of Antiquity” in The Sasanian Empire at War. მუსლიმი ისტორიკოსი ალ-ტაბარი მიუთითებს რომ ყველა სპილო საბრძოლოდ არ იყო განკუთვნილი. ზოგი არ იღებდა მონაწილეობას შეტაკებაში, ჯარის ზურგში იდგა და მათზე მეთაურები იყვნენ ამხედრებულები. Al-Tabari, The History of Al-Tabari, Volume XII. 89.

ისტორიოგრაფიისთვის დამახასიათებელ სტილს, საბრძოლო სპილოებთან შეტაკების აღწერისას და ხატოვნად გადმოგვცემენ ამ გიგანტურ მხეცებთან დაპირისპირებას, თითქოსდა, ნაცნობი სცენარით, როცა, გაღიზიანებული სპილო თავისიანებს თელავს და მათი დამარცხების გადამწყვეტი ფაქტორი ხდება. ისევე როგორც სპარსული ომების სხვა ეპიზოდები, მათ შორის, ლაზიკის ომშივე მომხდარი ფასისის ალყა, გვიჩვენებს რომ სპილოები ძალიან კონკრეტულ შემთხვევებში, ფსიქოლოგიური ზემოქმედების იარაღად, ძალის დემონსტრირებისთვის გამოდგებოდა, თუმცა, გამოცდილ მოწინააღმდეგესთან საომრად, ნაკლებად გამოსადეგი და ისევე როგორც თავის დროზე, საბრძოლო ეტლები, მოძველებული და ანარქონისტული გახლდათ.

ბიბლიოგრაფია - Bibliograhy

1. *გეორგიკა* II. ბერძნ. ტექსტი ქართ. თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი: მეცნიერება, 1965.
2. *გეორგიკა* III. ბერძნ. ტექსტი ქართ. თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936.
3. ლეონტი მროველი, ჯუანშერი. *ქართლის ცხოვრება.* თბილისი: ახალი ივირონი, 2011.
4. Agathias. *The Histories*.Translated with an Introduction and Short Explanatory Notes by Joseph D. Frendo. Berlin; Boston: De Gruyter, 1975.
5. Aelian. *On The Characteristics of Animals*. / 3, Books XII-XVII. Cambridge: Harvard University Press; London: W. Heinemann, 1972.
6. Al-Tabari. *The History of Al-Tabari*, Volume XII. State University of New York Press, Albany, 1992.
7. Ammianus Marcellinus. volume II, With an English Translation by John C. Rolfe. Cambridge, Massachusetts: Harvard University Press, 2000.
8. Decker, Michael J. *The Byzantine Art of War*. Westholme, Yardley, 2016. Kindle Edition.
9. 2023.
10. Decker, Michael. *The Sasanian Empire at War*. Westholme Publishing, LLC, Yardley, Pennsylvania, 2022. Kindle Edition.
11. Daryaee, Touraj. *Sasanian Persia: The Rise and Fall of an Empire*. London: I.B. Tauris,
12. Erdkamp, Paul. *A Companion to the Roman Army*. Hoboken: John Wiley & Sons, 2011.
13. Farrokh, Kaveh. *The Armies of Ancient Persia: The Sassanians*. Barnsley, South Yorkshire: Pen & Sword Military, 2017.
14. Frontinus. *The Stratagems; and the Aqueducts of Rome.* With an English Translation by Charles E. Bennett. London, New York, 1925.
15. Gowers, William. “African Elephants and Ancient Authors”. *African Affairs*, Vol. 47, No. 188 (Jul. 1948): 42-49.

16. Glover, Richard. “The Elephant in Ancient War”. The Classical Journal, Vol. 39, No. 5 (Feb. 1944): 257-269.
17. Greatrex, Geoffrey; Lieu, Samuel N. C. *The Roman Eastern Frontier and the Persian Wars AD 363-628*. Pt. 2. New York: Routledge, 2002.
18. *Historia Augusta*. Volume I. With an English Translation By David Magie. Cambridge, Massachusetts: Harvard University Press, 2022.
19. Nossov, Konstantin. *War Elephants*. Oxford: Osprey Publishing, 2012.
20. Polyænus. *Stratagems of War*. Translated by Dr. Shepherd F.R.S. London: Printed for George Nicol, 1796.
21. Prokopios. *Wars of Justinian*, Translated by H.B Dewing, Revised and Modernized, with an Introduction and Notes, by Anthony Kaldellis. Indianapolis: Hackett Publishing Co, Inc. 2014.
22. Rapp, Stephen H. *The Sasanian World through Georgian Eyes: Caucasia and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature*. Routledge, London, 2017.
23. Whately, Conor. *Battles and Generals: Combat, Culture, and Didacticism in Procopius' Wars*. Brill: Leiden, 2016.